№ 89 აპრილი 28, კვირა | 1891 | აპრილი 28, კვირა № 89


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას პუკეაში, ბეჭელის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

კვირას 12 მაისს

## მუშტაიდის ბაღში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართული იქმნება

სახალხო სეირნობა

## ლოტარია-ალეგრითა

დაწვრილებით გამოცხადებული იქმნება აფიშებში.

## რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

## ახალი ამბავი

*** † დღეს დავასაფლავეთ პატიოსანი და უანგარო მოღვაწე მეცნიერებისა და ბევრისთვის დაუვიწყარი და ძვირფასი მასწავლებელი და აღმზრდელი ლეონარდო პეტრეს ძე ზაგურსკი. განსვენებული, აგერ თითქმის 40 წელიწადია, რაც ტფილისის სხვა-და სხვა საშუალო სასწავლებლებში ასწავლიდა ისტორიასა და გეოგრაფიას. 14 წელიწადი იყო გამგებლად რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების განყოფილებისა კავკასიაში. უწინდელს შაგირდებს განსვენებულის პედაგოგისას ამ ჟამად ტფილისში ბევრი შესამჩნევი ადგილი უჭირავთ სხვა-და-სხვა დაწესებულებაში. ბევრი ამ მოწაფეთაგანი დაესწრო დასაფლავებას და უკანასკნელად პატივი სცა თავის ძვირფას მასწავლებელს და რამდენისამე მშვენიერი გვირგვინითაც შეამკო მისი კუბო. მისმა ნაშაგირდალებმა თავის ხელით მოასვენეს კუბო მიცვალებულისა და წაასვენეს ეკკლესიამდე და მერე ეკკლესიიდამ სასაფლაომდე. ზემოხსენებულ გვირგვინებ გარდა, მიცვალებულის კუბო შემკობილი იყო გვირგვინებით მამეურნეო საზოგადოებისა, საგეოგრაფიო საზოგადოებისა და რამდენისამე სხვა დაწესებულებისაგანაც. ბ-ნმა ვ. სულხანიშვილმა საფლავზე წარმოსთქვა სიტყვა, და, როგორც მისმა მოწაფედ ნამყოფმა, მადლობა გადაუხადა განსვენებულს ყველა მის მოწაფეთა სახელით, რომელთაც განსვენებულმა შეაყვარა მათ სამშობლოს აწმყო და წარსული. ძალიან გავკვირდით, რომ აქაურ რეალურ სასწავლებლის მთავრობას არ შეეკრიბნა შაგირდები და მათის დასაფლავებაზე დასწრებით არა სცა უკანასკნელი პატივი მიცვალებულს იმ სასწავლებელმა, რომლის უკეთესი მოღვაწეც ის იყო მის დაარსებიდამვე. საუკუნოდ იყოს ხსენება პატიოსანის უანგარო მუშაკისა, რომელმაც ისეთი დიდი ღვაწლი დასდო, როგორც აქაურ ახალგაზრდობის განათლებას, ისე კავკასიის სამეცნიერო კვლევა-ძიების საქმეს!

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ გუშინ 27 აპრილს მთავრობამ დაამტკიცა გორის ქალაქის თავად გენერალ-მაიორი დიმიტრი ივანეს ძე მუსხელაშვილი.

*** აპრილის 25 კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში მოხდა მორიგი კრება ამ საზოგადოებისა. პირველად კრებამ მოისმინა სამწუხარო ამბავი მათ უმაღლესობათა დიდის მთავრინა ოლგა თეოდორის ასულისა და დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გარდაცვალებისა. კრებამ გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა დიდ-მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს და დაავალა ბ-ნს კუჩაევს, რომელიც პეტერბურგს მიდის, გვირგვინით შეამკოს მათი საფლავი.

ამას შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას პატივცემულის მოღვაწის და საზოგადოების წევრის ლეონადრო პეტრეს ძის ზაგურსკის გარდაცვალების ამბავი. კრებამ დაავალა ბ-ნთ შიმანოვსკის და იოსელიანს შეამკოს გვირგვინით საზოგადოების სახელით განსვენებულის კუბო.

ცოტაოდენი ბაასი გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ჯერ აქამომდე საბაღოსნო სკოლის შენობა არ არის დასრულებული, თუმცა, რაც-კი ფული იყო გადადებული ამ საქმისთვის, სულ დახარჯულიაო. რადგანაც სკოლის საჭიროება თხოულობს საჩქაროდ გათავდეს დაწყებული შენობა, კრებამ დაავალა საბჭოს, 6 მაისის კრებისათვის გამოიკვლიოს, რა მიზეზის გამო მომხდარა სმეტას გარდამეტებული ხარჯი და რამდენი ფულია საჭირო სკოლის შენობის დასასრულებლად. შემდეგ კრებამ ერთხმით ამოირჩია პრეზიდენტად მთავარმართებელი შერემეტევი და ვიცეპრეზიდენტათ—ბ-ნი ბახმეტევი.

*** რამდენჯერ თქმულა ადგილობრივ გაზეთებში, რომ ტფილისის სამკურნალო მთლად გაჭედილია ავადმყოფებით და აღარ არის ადგილი, თუნდაც ერთის კაცისა, რაც უნდა გაჭირებულ მდგომარეობაში იყოს ავადმყოფიო. განსაკუთრებით საცოდავ მდგომარეობაში არიან სულით ავადმყოფნი. ამ ავადმყოფთა განყოფილება ტფილისის სამკურნალოსი ავსებით-ავსებულია. ამ გაჭირვების ასაცილებლად საჭიროდ სცნეს ახალის შენობის აგება, რის გამოც შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვეს ამისათვის ფული. სამინისტრომ საქმის დასაჩქარებლად კავკასიის მთავარმართებელს ნება დართო დროებითის შენობის აგებისა, სინამ ამ საქმისათვის უმაღლესს ნება-რთვას მიიღებდეს და საჭირო ფულის გადადება შეიძლებოდეს ახალის სამუდამო შენობის ასაგებად.

მოვიდა ეს ამბავი თუ არა, დაუყოვნებლივ შეუდგნენ შენობის აგებას, რომელიც კიდევაც დამზადებულია ეს ორი-სამი თთვეა, იმ შენობის გვერდითვე, სადაც დღეს სულით ავად-მყოფები იმყოფებიან. დროებითი შენობა ნაანგარიშევია 30 კაცისათვის, ამათ რიცხვში 5 იქნება ქალაქისა, რომელმაც ამისათვის საჭირო ფული უნდა იხადოს. ქალაქმა კიდეც გაუგზავნა ეს ფული. მთავარმართებლის განკარგულებით ეს შენობა აგებულია საადგილ-მამულო ხარჯის თანხიდამ და 25 კაცი ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხიდამ მოსული ავადმყოფები იქნება მიღებული.

## ფელეტონი

### უცნაური სენი

(დასასრული. იხ. „ივერია" № 88)

#### IV

ივნისის ცხელი დღე იყო. სოფელ ტევრეთის გლეხები გასულიყვნენ ყანებში სამარგლელად ახალ-ამოსულ სიმინდს, რომელიც ლურჯ-მუქის ფრად ბიბინებდა აქა-იქ. რამდენსამე ადგილას ისმოდა ხმა-მაღალი სიმღერა—„ნადური",—რომელიც მუშას ამხნევებს და დაღლილობას ავიწყებინებს; ზოგს რაღაც უაზრო ღმუილად ესმის ყურში, ზოგს-კი რაღაც გამოურკვეველს სევდას ჰფენს გულზე. ქალები, რომლებსაც სადილი მიეტანათ ყანაში თავიანთ ქმრებისთვის, უკვე დაბრუნებულიყვნენ შინისკენ, მოეყარათ თავი და თავისებურის დაუცხრომელ ლაპარაკით მოდიოდნენ, მხარზე კალთა-გადაგდებულნი.

— დევიგრილოთ, ქალებო, ამ ჩრდილში,—სთქვა ერთმა, ცოტათი ჩასუქებულმა, ლამაზმა, ქერა ყმაწვილმა ქალმა, როცა მიუახლოვდა დიდჩრდილიან წიფლის ხეს და სახოცის ყურით მოიხოცა ლოყებზე ოფლი.

— უი, ბერა, შენ კიდეც დაგცხომია შენებურად! უთხრა ქერას შუახნის, ეშხიანის პირისახის ქალმა, რომელმაც ამ დროს დადგა ჩრდილში თავისი კალათი და ჩამოჯდა წიფლის ძირზედ.

— დამცხა, ჰო, ვის არ დასცხება ამისთანა თონესავით ცხელ დღეში! უპასუხა ქერამ. თან ამ ლაპარაკის დროს ამოარჩია საუკეთესო ჩრდილი, დაჯდა, გაიხსნა გულის-პირი და სახოცის ქნევით იგრილებდა გაოფლიანებულს, სავსე, ლამაზად მოყვანილ, თეთრ მკერდს, რომელსაც ზედ კოკობივით სავსე ძუძუები აჰბურცებოდა.

ქერა ქალის მაგალითს მიჰყვნენ სხვა მისი ამხანაგებიც და ჩამომწკრივდნენ დაჩრდილულს ფერდობზედ. მხოლოდ ერთი ხმელ-ხმელი ქალი არ დაჯდა, გაჩერდა ფეხზედ და მოსვენებას არ აძლევდა ამხანაგ ქალებს:

— რა ქენით, ქალებო, დალაგდით ჩრდილში და აღარ ფიქრობთ შინ წასვლას?! თქვენი ბალღები ახლა ხომ ტირილით იხოცებიან! ამიტომ ვარ მე უბედური გამხმარი: საცაა უნდა წავიდე, სული შინ მრჩება, ჩემს ბალღებს არაფერი დაემართოს ცუდი, ცეცხლში, ან წყალში არ ჩაცვივნდნენ მეთქი. გოგო, შენ ხომ მაინც ადრე უნდა წახვიდე შინ,—მიუბრუნდა ეხლა ხმელ-ხმელი ქალი ერთს ფეხ-შიშველა, შავგვრემან, ლამაზის სახის ცამეტ-თოთხმეტის წლის ქალს: ხომ გახსოვს, დედაშენმა რომ დაგაბარა: გზაზე არ გაჩერდე, ისე მოდი, თუ არა, მოგკლაო?

პატარა ქალს ამ სიტყვებმა რაღაც ამბავი მოაგონა; შეშინებული წამოხტა ზეზე, წამოავლო თავის კალთას ხელი და დააპირა წასვლა.

— მოიცა, ქეთო, აწი ჩვენც წამოვალთ, ერთად წავიდეთ,—უთხრა ქერა ქალმა, რომელსაც ლოყები სიცხისაგან ალივით ანთებული ჰქონდა. რა რომ პატარა ქალს ამ სიტყვებით წასვლა დააშლევინა, ეხლა ქერა ხმელ-ხმელ ქალს მიუბრუნდა:

— რა იქნა, ირინე, რომ მუდამ ასე ხარ სულ-წასულობა! ერთი-ორი წამი რომ დევისვენოთ, ამით არც შვილები დაგვეხოცება და არც ოჯახი დაგვექცევა! რა ვქნათ, ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც შესვენება გვინდა. არ ჰხედავ, რა სიცხეა?

— რა სიცხეა? შე დალოცვილო, ტყავში ველარ ეტევი, ისე ხარ სისხლით და ხორცით გაჟღენთილი, დაგცხება, არ იცი?—უგემურის ხმით უპასუხა ქერას ხმელ-ხმელმა ქალმა.

— მართალია, მაკო, თეთრ ფერვანი, ხორცით სავსე ქალია, თუ არა ისე წრევანდელ ზაფხულის საყვედურს კაცი ვერ იტყვის,—არც სიცხეა და არც ავათ-მყოფობა,—ჩაერია ლაპარაკში ერთი იქ მყოფი ქალი, რომელიც აქამომდე დაჩუმებული იყო.

— სიცხე, ეწოურეთ, არ არის და ავად-მყოფობა არ არისო, ვინ მოგახსენა! არ შეგიტყვია, ჩვენი გაბრიელა ჩამწარდაძისას უცნაური სენი გაჩენილა და დიდიან-პაწაიანათ ყველა იხოცებაო? შენიშნა თავისებურ უგუნურის ხმით ზაფხულის მაქებარ ქალს ხმელ-ხმელმა ქალმა.

— რა სენი, ქალო, რა სენი!—შესძახეს ირინეს ერთხმად შეშინებულმა ქალებმა, რომლებშიაც ქერა ქალი და პატარა ქეთო სულ გაფითრდნენ შიშით „უცნაურ სენი"-ს ხსენებაზე.

— რა სენი, რა ვიცი,—დაიწყო ირინემ, რომელიც ამ დროს ჩამოჯდა წიფლის ძირზე, რადგანაც ლაპარაკის მოყვარული იყო, რომლისთვისაც „ქვეყნის ენა"-ს ეძახდნენ—რა სენი, რა ვიცი! უწინ თურმე ტასო შეიქნა ავათ, ყვაილ-ბატონებსავით გამოჰყარა ტანზე, ცხვირზე და რა ვიცი, ყოველგან; მერე გაბრიელასაც ასე დაემართა და ბოლოს მათ შვილებსაც გადაედო. წამლობა, ლოცვას გარდა, ვერაფერი გაუბედეს,—ვინ იცის, რა ბატონებიაო და ისე, რაც არ უძნელდება, კეთებით არ კეთულობენ.

— უი, საცოდაო! ღმერთო შენ ხარ მოწყალე!—გადაიწერეს პირჯვარი ქალებმა, წამოცვივნდნენ და ისეთის ჩქარის ნაბიჯით გასწიეს შინისკენ, რომ გეგონებოდათ, ის რაღაც „უცნაური სენია" ამათ დასდევნებია უკანაო.

—

ქალებს ხომ ხშირად ჭორების მოგონებაც უყვართ. მაგრამ გაბრიელა ჩამწარდაძის ოჯახში „უცნაური სენი"-ს გაჩენის ამბავი ჭორი არ იყო: აგერ რამდენიმე თთვეა განმავლობდა, რაც გაბრიელა და მისი ცოლ-შვილი იტანჯებოდნენ რაღაც სენით. ეს სენი ჯერ ტასოს გამოაჩნდა მუწუკებად, შემდეგ—გაბრიელას და ბოლოს მათ ბავშვებსაც გადაედო. წინაპირველ ავადმყოფობა თითქო მსუ-

ამას წინად კომისია იყო დანიშნული, რომელმაც დაათვალიერა ეს ახალი შენობა და მოიწონა კიდეც, მაგრამ დღემდე არ ეშველა ამ შენობას გამართვა, მაშინ როდესაც სულით ავად-მყოფები თითქმის მუდამ დღე მოჰყავთ და ისევ უკან აბრუნებენ: ეუბნებიან, ადგილი არა გვაქვსო.

ვერ გაგვიგია, რა მიზეზისა გამო არ გაჰმართვენ ამ ახალს შენობას აქამომდე, როდესაც ფულიც არის, მოწყობილიცაა ახალი განყოფილება საავადმყოფოსი?

⁂ შემოსწირეს, «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას» მომავალ ლოტარიასთვის დიდ-დახურულ ბაზარში მანუფაქტურის ქართველ მოვაჭრეებმა:

1, გიორგი შათიროვმა—2 აბრეშუმის შალი და 5 ჩიქილა.

2, ისაკ ბედოიძემ—2 ბალდადი და 3 თავსაკრავი.

3, გიორგი ჯორჯაძემ—1 ვიგონის იუბკა.

4, მიხეილ მეტრეველმა—ყუთით ქალის თავ-მოსართავი.

5, გიორგი ყაჯარდუზოვმა—2 თავსაკრავი.

6, იაგორ მაისურაძემ—2 დუჟინი ხელსახოცი და 1 სუფრა სტოლისა.

7, ილო ქლისოვმა—2 დუჟ. ხელსახოცი.

8. ვასილ დორთლოვმა—1 აბრეშუმის ჩიქილა.

9. მიხეილ გივიშვილმა—1 ბალდადი და 6 ხელსახოცი.

10 კოლა ჯუმუხაძემ—1 ნაკერი თეთრი პერანგი.

⁂ ახალ-სენაკი: აღდგომის დღე სასწაულებმა მშვიდობიანად და წყნარად ჩაიარა ჩვენს დაბაში. არავითარი ჩხუბი და აყალ-მაყალი არა ყოფილა-რა; ყოველივე ხორაგეულობა წინა წლებზე შედარებით ძლიერ იაფად იყიდებოდა. ბედნიერ დღეებში მშვენიერი და სანაქებო დარები იდგა...

13 ამ თთვეს ერთს აქაურს მცხოვრებელს ს. გ—რს მოჰპარეს ცხენი. პატრონმა ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად აღმოაჩინა.

⁂ სოფ. ისულა (სენაკის მაზრა): თუ სენაკის მაზრის სხვა სოფლებშია ქურდობა და ავაზაკობა, არც-კი ჩვენ გვაკლია ეს სიკეთე. ჩვენსკენ მეტად გათამამებულნი არიან ღამის რაინდები. არავისი ეშინიანთ და არც არავის ერიდებიან; რაც გაზაფხული დადგა, მას აქეთ მრავალი მსხვილ-ფეხი საქონელი დაიკარგა და მათი კვალიც დღესაც არ არის ნაპოვნი.

⁂ მებაღეობის საზოგადოება პეტერბურგში შუამდგომლობს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ შემწეობა აღმოვუჩინოთ და გავავრცელოთ ვენახის გაშენება ამიერ-კავკასიის დასავლეთ მხარეშიო. ამისათვის საჭიროაო: ა) გაიგზავნოს ამიერ კავკასიაში ისეთი კაცი, რომელმაც კარგად იცოდეს ვენახის გაშენების საქმე, რომ უჩვენონ მკვიდრთა საუკეთესო ხერხი ვენახის გაშენებისა; ბ) ვენახის პატრონებს დავურიგოთ საუკეთესო ჯიშის ვაზი და გ) დავუნიშნოთ საჩუქრები ამიერ-კავკასიის მხარეში საუკეთესო ჯიშის ვაზის გავრცელებისა და მოშენებისთვის. (გაზ. „Новости“)

⁂ იგივე გაზეთი გვაუწყებს, რომ მეორე გამოფენა ხილისა და ბოსტნეულობისა რუსეთში გაიმართება მოსკოვში 1893 წელსაო.

## ზოგიერთ ძველ ხელ-ნაწერების შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

თავ. გრიგოლ დავითის ძის გურიელისაგან ჩვენ მივიღეთ ოთხი ძველი ხელ-ნაწერი წიგნი შემდეგის წერილით:

პატივცემულო ევთიმე სვიმონის ძევ!

„ამასთანავე გიგზავნით ამა წერილის მომრთმეველის ხელით ოთხს ძველს ხელთ-ნაწერს საეკკლესიო წიგნს, რომელშიაც იპოვნით შესანიშნავს ხელოვნებას ძველის დროების ხელით-წერისა და მხატვრობისას. გთხოვთ ეს ხელთ-ნაწერი წიგნები, შემდგომ თქვენ მიერ კარგათ განხილვისა, გარდასცეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ჩემ მაგიერად.

„ეს წიგნები დიდის მეცადინეობით შევიძინე სხვა-და-სხვა კერძო კაცთაგან და კიდევ ვცდილობ, რაც შეიძლება, მეტი შევიძინო და გავხლოთ „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“, გარდასაცემათ, რათა ჩვენს მომავალს არ დაეკარგოს ესრეთნი ძვირფასნი ძეგლნი ძველის მწერლობისა და მხატვრობის ხელოვნებისა.

„როგორც ეხლა დავინახე, გურიაში ძლიერ ბევრი ყოფილა სხვა-და-სხვა შესანიშნავი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები, როგორც საეკკლესიო, ისრე საერო, მაგრამ ჩვენში ბეჭდვის შემოღების შემდეგ ხელთ-ნაწერთა წიგნთა პატივი სრულიად დაჰკარგვიათ და მრავალი მათგანი მოსპობილა, რადგან სახვევის ქაღალდის ადგილზედ უხმარიათ.

დავშთები თქვენი მარადის ერდგული გრიგოლ გურიელი“.

ამ წერილში მოხსენებულ ოთხ ხელთ-ნაწერს გარდა კიდევ მივიღეთ თავ. გრიგოლ გურიელისაგან ერთი ეტრატზე დაწერილი წიგნი, ასე რომ სულ ჩვენ მოგვივიდა მისგან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გარდასაცემად ხუთი ხელთ-ნაწერი:

1) მარხვანი in folio დაწერილია ქაღალდზე მშვენიერის ნუსხა ხუცურის ხელით და შემკობილია სურათებით და მშვენიერად ნახელავის მეთაურის ასოებით (ინიციალებით). ზოგიერთი სურათი პირდაპირ ტექსტის ქაღალდზეა ნახატი, ზოგიერთი შემდეგ არის დაწებებული, როგორც მაგალითად სერობა, ჯვარცმა, ქრისტეს დასაფლავება და ამაღლება. ეს მერმე დაწებებული სურათები უფრო მდაბიოდ ნახელავია სხვებზე და ფერადებიც სხვებისა ჰგვანან. განსაკუთრებით ლამაზია ის სურათები, რომელთაც მინიატიურული ხასიათი აქვსთ; ამგვარია მაგალითად მაცხოვრის სურათი, ლაზარეს აღდგენა და სხვ. მეთაური ასოები ხელ-ნაწერში ძლიერ ბევრია და სხვა-და-სხვა გვარისა არის. ზოგი ერთი წარმოგვიდგენს სხვა-და-სხვა ცხოველების თუ ფრინველების სურათს და დახატულია წითელის და შავის მელნით. აქ-იქ თავების ბოლოში გამოხატულია „ვაზები“ ყვავილებით. მარხვანი შეიცავს 296 ფურცელსა და გადაწერილია 1791 წ. 3 ნოემბერს გიორგი კობახიძის ხელით და ვახტანგ გურიელის ბრძანებით.

ვახტანგ გურიელი, ძე გურიელის გიორგი მე-V, თავის მეუღლე ორბელიანის ასულ მარიამითურთ დასაფლავებულია ჯუმათის ეკკლესიაში. გუჯრებში, რომელნიც დ. ბაქრაძეს მოჰყავს თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში, ვახტანგი იხსენიება 1788—1812 წლებში.

აქვე მოგვყავს ერთი ლექსი, რომელიც ვახტანგს უთქვამს 1795 წ. დიდმარხვაში, და რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნა თავ. გრიგოლ გურიელმა.

„მოძღვარსა მაწრაფ აღუარე, ცოდვასა ნუ დაფარავ, აღსარებითა ცოდვანი და ითქმის, ვითა ფარავ, ვინ ყური შექმნა, მან ქმნილი სად არ ისმინოს, არაო, და თვალთა შემქნელთა თვალთაგან ქმნილი ვით დაეფარაო“.

2) სახარება პატარა ტანისა, დაწერილი რბილ ეტრატზე წვრილის და ლამაზის ნუსხა მხედრულის ხელით. ამგვარი თავისებური ნუსხა მხედრული ხელი ჩვენ სხვა ხელ-ნაწერებში არ შეგვხვედრია. ზოგიერთი ასოები ჰგავს ხუცურ ასოებს და საზოგადოდ წერას ძველის მხედრულის ხელის ხასიათი აქვს. ხელ-ნაწერი შეიცავს 292 ფურცელს და უნდა ეკუთვნოდეს მე-XIV—XV საუკუნეს. გასაკვირველია, რომ ეს სახარება სრულებით არ არის დაყოფილი თავებათ და მუხლებათ. ხოლო სათაური თითოეულის სახარებისა დაწერილია აშიაზე ხუცურის ასო-მთავრულით. ხელ ნაწერს თავი და ბოლო აკლია. იოანეს სახარებისა მხოლოდ ერთი ფურცელია დაცული. ხელ-ნაწერში ოთხთავე მახარობელის სურათი ყოფილა, მაგრამ ჩვენამდის მოუღწევია მხოლოდ მარკოზის და იოანე მახარებლის სურათს. მარკოზის სურათი უკეთ არის შენახული და საკმაოდ ლამაზი ნახელავია.

3) ითიკა-თეოლოღია და სწავლანი მაქსიმე აღსარებელისანი სულიერნი საღმრთო მეცნიერებითნი. დაწერილია ქაღალდზე ლამაზის ნუსხა მხედრულის ხელით. გადაწერილია 1794 წ. 25 მარტს, იეროდიაკონის პორფირის მიერ ძე გაბრიელის თაოსნობით, შეიცავს 148 ფურცელს.

4) წიგნი სიბრძნისა ძისა ზირაქისა და წიგნი ეკკლესიასტე. დაწერილია ქაღალდზე ლამაზის ნუსხა ხუცურის ხელით, ხელ-ნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII—XVIII საუკ. შეიცავს 176 ფურცელს.

5) ჟამნ-გულანი in folio, დაწერილია ქაღალდზე ლამაზის ნუსხა ხუცურის ხელით, შეიცავს 295 ფურცელს და უნდა ეკუთვნოდეს მე-XVIII საუკ.

ყველა ეს ზემოხსენებული ხელთ-ნაწერი წიგნები გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და მათი ვრცელი აღწერილობა თავის დროზე იქმნება შეტანილი კატალოგში.

თავ. გრიგოლ გურიელის უხვი შემოწირულობა ჩვენის საზოგადოებისათვის პირველი მაგალითი არ არის. გარდა იმისა, რომ მან მთლად გადმოსცა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მთელი გამოცემა „ქილილა და დამანასი“, არ გაივლის ისე წელიწადი, რომ თავ. გრიგოლ დავითის ძემ არ შემოსწიროს ჩვენს საზოგადოების წიგნთ-საცავს რამდენიმე ძველი წიგნი ფული თუ ნივთი მისი სხვა-და-სხვა დროს შემოწირული წიგნები თითქმის ერთ პატარა ბიბლიოტეკას შეადგენს და გარდა სამეგრელოს თავადის და ალ. მესხიშვილის შემოწირულობისა, სხვა შემოწირულობა მის შემოწირულებას ვერ შეედრება. თავ. გრიგოლის შემოწირული ოქროს ვა...

---

...ბუქად ეკიდებოდა გაბრიელას და მის ცოლ-შვილს, მაგრამ შემდეგ-კი გამძლავრდა და ეტყობოდა, რომ ეს „უცნაური სენი“ სახუმრო სენი აღარ იყო. მეტადრე მოხუც გაბრიელას ისე გაუჭირა საქმე, რომ ლოგინიდან ვეღარ დგებოდა. ტასო და მისი ბავშვები ჯერ კიდევ დადიოდნენ ფეხზედ, მაგრამ რაღა სიარული იყო! ტასოს ცხვირი სძვრებოდა და თვალები უბრმავდებოდა; ხშირი თმა და წარბებ წამწამი სულ ჩამოსცვივდა. ჩიტოს (გაბრიელას უფროს ვაჟს) ყურები უფუჭდებოდა; შუათანას პირის-სახე სულ ერთიანად დაჩირქიანებული ჰქონდა. მაგრამ ყველაზე უარესი სანახავი და შესაბრალისი იყო უმცროსი ქალი, პელო. საბრალო პაწია ქალს ცხვირი, ლოყები, ყურები, ტუჩები და ერთიანად ტანი დაჩირქიანებოდა. ვისაც-კი ნახავდა ეს ძუძუს-მწოვარი ბავშვი, ყველას შესჩიოდა: „აა, ფუფულა... მტივა... მოვტი... მომეხმალეთ, მომეხმალეთ“-ო.

—ღმერთო, რა დაგიშავე, რომ ჩემს ოჯახში ასეთი ჯოჯოხეთი დაატრიალე და მამზერინებ! რა გიშავდა, არ მოგეტანე ამ დღემდე, მიგებარებია ჩემი სული!—წამოიძახებდა გმინვით, თან თავის ავადყოფით და თან შვილების ტანჯვით გულ-ადუღებული გაბრიელა პელოს საჩივრის გაგონებაზე. ტასო-კი, თითქო ენა ჩავარდაო, არაფერს არ ამბობდა. მხოლოდ ეს-კი რომ, მის სახის გამომეტყველება ცხადად ამტკიცებდა: ამ ქალს ავადმყოფობას გარდა, სინიდისიც ძლიერ უნდა სტანჯავდესო. ტასოს სულიერად ტანჯვის მიზეზი ის გახლდათ, რომ ის იყო მიზეზი თავის თავისა და თავის ქმარ-შვილის დაღუპვისა: ის „უცნაური სენი“, რომელიც ისე საშინლად დაერია გაბრიელას ოჯახს და ანადგურებდა, მან შეჰყარა თავის ქმარს-შვილს ეს ჟამზე უარესი სენი; ნანობდა, რომ თავის წუთიერ სიამოვნების გულისთვის საუკუნოდ წვალებას და ტანჯვას მისცა თავის თავიც და თავის ქმარ-შვილიც. დიახ, ჰხედავდა და გრძნობდა თავის დიდს დანაშაულს, მაგრამ ეხლა გვიან-ღა იყო!

იღუპებოდა საშინლად მთელი ოჯახი მაგრამ ვინ იყო მშველელი, ისეთ მივართდნილ ყრუ სოფელში, როგორიც არის ტევრეთი, ავად-მყოფის ბედ-იღბალი, ექიმობა დედა-ბრებს და მკითხავებს უჭირავთ ხელში, ნამდვილ მკურნალს იშვიათად მოუწოდებენ ავად-მყოფის საშველად და ისიც მაშინ, როცა ავად-მყოფს საამქვეყნიო პირი აღარ აქვს და ექიმი ველარას უშველის. დედა-ბრები თავიანთი ბალახ-წამლებით და მკითხავები ხუთო ბანქოებით, აბა, რა ექიმობას გაუწევდნენ იმ ავის სენით გახრწნილ გაბრიელას ოჯახს!

ერთი ამბობდა „წითელი ქარია“-ო და ლოცვით უპირებდა განკურნებას; მეორე—„ქარ-ცეცხლია“-ო და „ქარცეცხლის“ წამალს ადებდა, მესამე—„დასუნეილია“-ო და, ვინ მოსთვლის, რა სენი არ დაარქვეს და რა წამლები არ სცადეს. ზოგი იმასაც ამბობდა, „ბატონებია და წამლობა არ ეკადრება“-ო

გაბრიელას მეზობლები თან შიშით კვდებოდნენ, „უცნაური სენი“ ჩვენც არ გადმოგვედევსო და თან სწუხდნენ, თანაუგრძნობდნენ გაბრიელას გაჭირვებას. მაგრამ თითონაც არ იცოდნენ, როგორ და რითი ეშველნათ. მართალია, ბევრს მათგანს ჰქონდა გაგონილი, რომ ქალაქებში ზოგიერთ ავის ყოფა-ქცევის ქალს და კაცს „ცუდი-ჭირი“ ემართებათო, მაგრამ ეს ხომ ქალაქებში, და იმას კი თავის დღეში ვერ წარმოიდგენდნენ, თუ ეს სენი სოფელშიაც შეჰყოფდა თავს. ისიც არ იცოდნენ, ეს რაღაც სენი რა თვისებისა იყო, და ან რა ნაირად ემართებოდა ადამიანს. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ, შესაძლოა, მთელს სოფელში კი მოიპოვებოდა სადმე ერთი-ორი ისეთი, რომელსაც ან თვითონ სჭირვებოდეს ეს სენი და ან სხვის ნათქვამით სცოდნოდა ამის შესახებ რამ. მაგრამ იმ უცებ გავარდნილმა ხმამ—„გაბრიელასას უცნაური სენი გაჟნდაო“—ეს გამოცდილებიც დააშინა და, ახლო მეზობლებს გარდა, აღარავინ დადიოდა გაბრიელასას—ვინ იცის, იქნება ჟამი სჭირთ და ჩვენც არ დაგვხოცოსო.

გავიდა ამ გვარად კიდევ რამდენიმე ხანი, გაბრიელას ორი შვილი,—შუათანა ვაჟი და უმცროსი,—დიდის ტანჯვისა და წვალების შემდეგ ჩაიბარა სიკვდილმა; უფროსს ვაჟს ორივე ყურები და ცხვირი მოსძვრა, ბნედა გაუჩნდა და სრულიად დაგლახაკდა საწყალი ჩიტო. ამ ვაი-ვაგლახის დატრიალების შემდეგ ერთმა გაბრიელას ნათესავთაგანმა შემთხვევით უამბო ერთს გამოცდილს კაცს, ასე და ასე მოხდაო.—„ავი სენი ყოფილაო“ უპასუხა გამოცდილმა და თან ისიც გააგებინა, თუ როგორის ექიმის და საშუალებისთვის უნდა მიემართათ ასეთ შემთხვევაში. ამას შემდეგ ექიმიც გამოჩნდა და წამალიც. მაგრამ, როგორც ვსთქვით, გაბრიელას ორი შვილი ამ დროს უკვე სამარეში განისვენებდა, მესამე დაგლახაკებულიყო. დარჩნენ გაბრიელა და მისი ცოლი. ექიმმა დაუწყო ამათ ტრიალი და წამლობა. მაგრამ სენი ისე დასაძირკვლებული ჰქონდათ, რომ ვერა რას გახდა: ტასოს თავისისი ლამაზი ცხვირი მოსძვრა, თვალები სანახევროდ დაუბრმავდა, სახე დაუმახინჯდა; ავად-მყოფობით და ოჯახის დაღუპვის ჯავრით ტანჯულ-გვემულმა გაბრიელამ ერთ წელს კიდევ უგზავნა ცას და ქვეყანას წყევა-კრულვა და შეჩვენება, ერთის წლის შემდეგ, ჯავრით იყო, თუ ავად-მყოფობით, არ ვიცი, გაჰყვა თავის შვილებს, იქ, საითკენაც მიმავალი ბევრი გვინახავს, მაგრამ მომავალი-კი არც ერთი.

—

არ ვიცი: მკითხველო, გინახავს, თუ არა,—ერთს დამახინჯებულს ბავშვს დაჰყავს სოფელ-სოფელ და ხან ქალაქებშიაც სამოწყალოდ ჯოხზე გაწყრით ჩამობმული დედაბერი. ეს მახინჯი ბავშვი არის ჩიტო, გაბრიელა ჩამწარდაძის ვაჟი, ხოლო უცხვირო, ბრმა დედა ბერი—ამ ბავშვის დედა, ტასო, ის ტასო, რომლის სიმშვენიერეს აღტაცებაში მოჰყავდა ერთ დროს ტევრეთის ყმაწვილ-კაცობა.—

ე. ნინოშვილი

ზესტაფონი

რაყით ნაწერი სახარება ბაგრატ მე-IV დროისა, ეფრემ მცირის ავტოგრაფი და უძველესი სამკურნალო წიგნი სამუდამოდ დამამშვენებელი იქნება ჩვენის ბიბლიოთეკისა. გრიგოლ გურიელი არ ჰზოგავს არც ხარჯს და არც შრომას, რომ მოიპოვოს ხელთ-ნაწერები და შემოსწიროს ჩვენს საზოგადოებას. ჩვენ ვიცით, რომ ერთ ფრიად საყურადღებო და მდიდრულად შემკობილ ხელთ-ნაწერში, რომელიც უცხო ტომთ ხელში ჩავარდნილა, გრიგოლმა 50 თუმანი აძლია, და ჩვენთვის ჰსურდა შემოეწირა, მაგრამ ვერ მოურიგდა, ვისურვებთ, რომ ასეთი გულ-შემატკივარი ჩვენს საზოგადოებას სხვაც აღმოსჩენოდეს.

ამას გარდა თავ. ილია პეტრეს ძის ნაკაშიძისაგან ჩვენ მივიღეთ „წერა-კითხვის საზოგადოების" გადასაცემათ შემდეგი მის მიერ შეკრებილი ხელთ-ნაწერები:

1) კრებული სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა შინაარსის ნაწერებისა, რომელშიაც მოქცეულია:

ა. წამება წმიდისა დიმიტრისა.

ბ. წამება წმიდისა რაჟდენისა.

გ. გარდამოცემაჲ, თქმული იოანე დამასკელისა.

დ. ექვსთა დღე დიდისა ბასილისი.

ე. კაცისა შესაქმესთვის გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისა.

ვ. ცხოვრება ნიკოლოზ მთავარ-ეპისკოპოსისა, მირონ ქალაქისა.

ზ. ანდრია მთავარ-ეპისკოპოსის თარგმანებაჲ გამოცხადებისა წმიდისა იოანე მახარობელისა.

Ө. ბუნებისათვს კაცისა თქმული ნემესიოს მიერ.

თ. მოთხრობა ულმრთოისა მახმედისათვს ბაგრატისა.

ი. მოკლე ისტორია მახმედისათვს და უწყება კურთხევისათვს. ხელ-ნაწერი შეიცავს სულ 290 ფურცელს, in folio.

2) ამირან დარეჯანიანი გადაწერილი ასტრახანს მხედრულის ხელით. თავი და ბოლო აკლია.

ეს წიგნი შეუწირავს ჩვენის საზოგადოებისათვის გორის მაზრის სოფელ ფლავის უბანში მცხოვრებ აზნაურ მიხეილ მაჭავარიანს.

3) მიმოსვლა ტელემაკისა და ათინაიდა, შეიცავს 292 პურცელს. წიგნში ჩართულია 24 სურათი. გადაწერილია 1828 წ.

4) სამხედრო ტაბიკონი, in folio, შეიცავს 242 გვერდს, გადაწერილია 1824 წ.

5) ფსალმუნი დავითისა, ხუცური ხელთ-ნაწერი ქაღალდზე.

6) ჟამნი, დაწერილი ქაღალდზე ნუსხა ხუცურის ხელით, თავი და ბოლო აკლია.

ყველა ზემო ხსენებული ხელ-ნაწერები გადავეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას".

ე. თაყაიშვილი

## უცხოეთი

გერმანია. 12 აპრილს გარდაიცვალა ბერლინში გამოჩენილი სტრატეგი გერმანიისა ფელდ-მარშალი მოლტკე, მოხუცებული 90 წლისა. სულ რამდენიმე ხანია, რაც დიდის ამბით იქმნა გადახდილ მისი 90 წლის იუბილეი. მაშინაც და შემდეგაც მდუმარე მოლტკე ჯერ კიდევ ჰარმაგი მოხუცი იყო, ხშირად ესწრებოდა რეიხსტაგის კრებას და, თუმცა მთავარ-შტაბის უფროსობას თავი დაანება და ოფიციალური თანამდებობა აღარა ეჭირა რა, მაინც საქმეებს კიდევ თვალ-ყურს ადევნებდა და მუშაობდა. მისმა სიკვდილმა გერმანელები დიდად შეაწუხა. იმპერატორმა ვილ ჰელმ მე-II სწორედ გამოხატა გერმანელების მწუხარება, როცა სთქვა თავის მხედართ-მთავრის სიკვდილს გამო: „ისეთი თავ-ზარი დამეცა, თითქო მთელი ჯარი და მხედრობა გამწყდარიაო".

მართლაც შესანიშნავი კაცი იყო მოლტკე. მისი ღვაწლი გერმანიის გაერთიანების წინაშე დიდია. გერმანელებს სამხედრო გენიოსად მიაჩნდათ: ნაპოლეონ დიდისა და იულიუს ცეზარის სამხედრო ნიჭი ჰქონდაო. სახელი მოლტკეს-კი ისე მხედართ-მთავრობითა და მამაცობით არ მოუხვეჭია, როგორც სტრატეგოსობით. არც ერთს ომში თვითონ მოლტკე არ ყოფილა მეომართ წინამძღვარი. მოლტკე მხოლოდ დიდის მოფიქრებით, გულ-მოდგინებით და გულ-დასმით ადგენდა პლანებს ყოველ-გვარის მოსალოდნელის ომისას და ისეც ადგენდა, რომ იმ პლანებით დიდის ხიადვილით იმარჯვებდა გერმანიის ჯარი და მხედრობა.

მოლტკე დაიბადა 1800 წელს მეკლენბურგში გერმანიის მეორე სამხედრო გმირის ბლიუხერის სამშობლოში. პირველად დანიის ერთ-ერთ კადეტების კორპუსში ისწავლა. მერე თვისი სამხედრო განათლება დაამთავრა ბერლინის სამხედრო აკადემიაში. ამ დროს მოლტკეს პარუჩიკის ჩინი ჰქონდა და დიდად მცირე ჯამაგირი. მაგრამ მაინც ამ მცირე ჯამაგირით ისე ხელ-მოჭერიდ სცხოვრობდა, რომ თითო-ოროლა გროშის გადაგდება მოახერხა უცხო ენების სწავლისათვის. მცირე ხნის შემდეგ მოლტკე დაინიშნა ფრანკფურტის სამხედრო სკოლის გამგებლად. სკოლას ისე კარგად განაგებდა, რომ პრუსიის საგენერალო შტაბის დეპარტამენტში იქმნა გადაყვანილი უკვე კაპიტანის ჩინით. 1835 წელს დაეთხოვა დროებით სამსახურს და მოინდომა ქვეყნების მოვლა. პირველად მოვიდა სტამბოლს. აქ ხონთქარმა სთხოვა ოსმალოს ჯარის მოწყობა. თუმცა მოლტკე სიამოვნების და დროების გასატარებლად გაემგზავრა სტამბოლში აქენ, უარი ვერ უთხრა ხონთქარს და თავის მთავრობის ნება-დართვით შეუდგა ოსმალეთის ჯარის მოწყობას. შემდეგ მიიღო მონაწილეობა ოსმალეთისა და ეგვიპტეს ომში. ოსმალეთიდამ დაბრუნების შემდეგ მოლტკემ შეირთო ცოლად ინგლისელი ქალი მარიამ ბურტისა. მოლტკე ფრიდრიხ მესამესთან ერთად იყო პარიჟში იმ დროს, როცა ნაპოლეონ მესამე დიდს ამბავში იყო. მოლტკემ მაშინვე შეატყო ლუი ნაპოლეონის მეორე იმპერიას, რომ საფრანგეთს დიდი განსაცდელი მოელოდა. ვინ რას მოიფიქრებდა მაშინ, რომ ის მუდამ პირ-მოკუმული, მდუმარებით აღსავსე, ვიღაც უცნობი სამხედრო კაცი შეიქმნებოდა მიზეზი ამ განსაცდელი და გმირი სედანის გამარჯვებისა. მხოლოდ იმპერატრიცა ევგენია მიხვედრილიყო, რომ ფრიდრიხ მესამის ადიუტანტი უბრალო ვინდარას არა ჰგავდა. იმპერატრიცა ევგენია სწერს ამ დროს ერთს თავის მეგობარს: „პრინცი პრუსიის ფრიდრიხი წამოსადეგი, ლამაზი ყმაწვილი კაცი, ხოლო მისი ამხანაგი, ვიღაც გენერალი მოლტკე, ძალიან ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ ოცნების მოყვარე კაცს-კი არა ჰგავს, პირ-იქით ყველას დიდის დაფიქრებით აკვირდება და თითო-ოროლა მის სიტყვას, რომელსაც ათასში ერთხელ იტყვის ხოლმე, დიდი და ღრმა მნიშვნელობა აქვს. უცნაური ხალხია ეს გერმანელები და, თუმცა ლუი ამბობს, რომ მერმისი იმათია, ღვთის ძალით, ჩვენ ჯერ მაგ დროს არ მოესწრებივართ".

1858 წელს დიდი თანამდებობა მიიღო მოლტკემ და მიეცა ღონე თავის ნიჭისა და უნარის გამოჩენისა. მოლტკე დაინიშნა პრუსიის მთავარ-შტაბის უფროსად და 30 წლის განმავლობაში აღარ დაუტოვებია ეს თანამდებობა. შტაბის საქმეები სანაქებოდ მოაწყო, ისე რომ სამაგალითო შეიქმნა მისგან მოწყობილი შტაბი მთელის ევროპისათვის. ბისმარკსა და იმპერატორ ვილჰელმს ეგონათ აქამომდე, რომ მოლტკე მოხოლოდ კარგი თაოსანი, საქმის კარგა მოწყობი და წეს-რიგის დამამყარებელიაო. მაგრამ მალე მან დაამტკიცა, რომ ამას გარდა მოლტკე დიდი სტრატეგოსიც იყო. იმის მიერ შემუშავებულის პლანით პრუსიის ჯარმა დიდად გაიმარჯვა ჯერ დანიაზე, მერე ავსტრიაზე სადოვისთან და ბოლოს ხომ საფრანგეთზედაც. იმის სტოლის უჯრებში წინდაწინვე მზად იყო დიდის გულ-დასმით მოფიქრებული პლანები ყოველ გვარის მოსალოდნელის ომისა.

ეს იყო მიზეზი, რომ მოლტკე მუდამ მზად იყო და მოუმზადებელს მტერი ვერას დროს ვერ მოასწრობდა. სედანთან გამარჯვების შემდეგ მოლტკე მთელის გერმანიის სათაყვანებელი კაცი შეიქმნა. მას შემდეგ მიიღო მან ფელდმარშლობა და გრაფობა. პარლამენტმა დიდ-ძალი ფული გადასდო მის სასარგებლოდ. ამ ფულით მოლტკემ მამული იყიდა სილეზიაში და სიბერის დროს ხან ბერლინში სცხოვრობდა, ხან ამ თავის ახალ-ნაყიდ მამულში, სადაც დიდის გულ-მოდგინებით ეტანებოდა მეურნეობას.

პოლიტიკაში მოლტკეს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია. ეკუთვნოდა კონსერვატორების დასს და საპარლამენტო კამათობაში მხოლოდ მაშინ მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, როცა სხვა სამხედრო საქმეებს შეეხებოდა.

## დეპეშა

26 აპრილი

პეტერბურგი. როჩილდმა უარი სთქვა იმ ხელ-შეკრულობაზე, რომელსაც ხელი მოაწერა და რომელიც შეეხებოდა 3%-იან სესხის გამოცემას წინანდელ საადგილ-მამულო საურთიერთო კრედიტის გირავნობის ფურცლების კონვერსიისათვის. უარის შესახებ „Нов. Вр."-ია ამბობს, რომ ადგილობრივ, სარწმუნო წყაროდამ შევიტყვეთ, რომ როცა ხელშეკრულობა უკვე ხელ მოწერილი იყო, პარიჟელმა როჩილდმა სრულიად უადგილო პირობის შესრულების თხოვნა დაუწყო რუსეთის მთავრობას რუსეთის ებრაელთა სასარგებლოდ, სწორედ ისევე, როგორც მოიქცა 1890 წელს ნოემბერში ლონდონელი როჩილდი. ამაზე ფინანსთა მინისტრმა ისეთივე პასუხი მისცა, როგორც ლონდონელს როჩილდს, ესე იგი ის მტკიცე პასუხი, რომ სრულიად უადგილო პირობას უდებ რუსეთის მთავრობასაო. ამისთანა პასუხის შემდეგ როჩილდმა უარი სთქვა, აღარ შევასრულებ ნატვირთ ვალდებულებასაო და დაიწყო მეცადინეობა რომ რუსეთის ფასიანს ქაღალდებს ფასი დაჰკლებოდა. გაზეთი დასძენს, რომ ამისთანა მეცადინეობისათვის ეხლა ისეთი ხელის შემწყობი გარემოებანი აღარ არსებობს, როგორც წინადაო, რომ ამ ჟამად უცხო-ქვეყნების ბირჟები დამოკიდებულია ჩვენ საფინანსო ძალაზეო, რასაც უკვე ეტყობა ამ ბირჟების ყოფასაო, იმიტომ რომ ჩვენ ბევრი გვაქვს შეგროვილი ოქროვო. რუსეთისთვის საყურადღებო შედეგი ამისთანა გარემოებისა უფრო ის იქნება, რომ შესდგება საკონვერსიო ოპერაციები სამზღვარ გარედაო. ხოლო უკვე დაწყებულს კონვერსიას შინაგანის სესხებისას როჩილდები ვერას დააკლებენო.

პეტერბურგი. დღეს დაასაფლავეს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უფროსი.

აიაჩიო. დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე დაბრუნდა და მეტად კმაყოფილია იმ პატივის ცემითა, რომელიც მას აღმოუჩინეს. ადგილობრივ გარნიზონის ოფიცრებმა სადამო გაჰმართეს და ტკბილადაც ჩაიარა; გაისმოდა: „გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს საფრანგეთს!" დაჰკრეს სადღეგრძელო ორთავე სახელმწიფოს სამხედროისა და შეერთებისა გუშინ კრეისერი „ადმირალი კარნილოვი" წავიდა პალერმოს. ზღვის ნაპირა შეგროვილი ხალხი დიდს მთავარს პატივის ცემით აცილებდა.

ბელგრადი. პაშიჩმა დიდის პატივის ცემით აცნობა დღეს წერილით სკუპშჩინასი და თან სთხოვა გვაცნობეთ რას ჰფიქრობთ ამის შესახებაო.

ბერლინი. შაქარზედ გადასახადის შემოღების შესახებ რეიხსტაგმა მიიღო ორტერედის აზრი, რომელიც ამბობს, რომ აქციზი დაინიშნოს 18 მარკა, ხოლო პრემია დაინიშნოს სამის წლის ვადით: 1 მარკა და 25 პფენიგი, შემდეგი ორი წლიწადი 1 მარკა. ამის შემდეგ რეიხსტაგმა მიიღო შემოსავალი გადასახადი 30 მ. 1892 წლის 1 ღ ავგისტოდამ.

პეტერბურგის ბირჟა 26 აპრილი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგებანი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 76 | 6 73 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 134½ | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 242½ | — „ | — „ |
| —მეორისა | 222 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 213 | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცლები ტ ილისის ბანკისა | 101 62 | — „ | 101 55 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## სამოსამართლო პალატა

სხვათა-შორის შემდეგი საქმეებია გასარჩევად დანიშნული:

4 მაისს

სკასაციო სარჩევარი

ა) დარია ჩემოდანოვისა ანტონ ჩირაძეზე დუქნის დაცლის თაობაზე და 300 მან. ნეუსტოიკა პირობის დარღვევის გამო (გადატანილი ქუთაისის ოლქის სასამართლოდამ).

ბ) ხაზინისა თაყაიშვილებზე ტყის თაობაზე (ქუთაის. ოლქ. სასამ.).

გ) ნინო ნიოტუხისა მანა ნიკოლაიშვილზედ ვექსილით 100 მან. თაობაზედ (ფოთის მომრიგებელ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე).

დ) ნიკო ლექავასი ივანე ზედგინიძეზე 84 მან. ზარალის თაობაზედ (თელავის მომრიგებელ მოსამართლის გარდაწყვეტილებაზე).

ე) ალექსი ვაშაძესი ალექსი წერეთელზე 100 მან. თაობაზედ (სამხრის მომრიგებ. მოსამ. გარდაწყვ.)

ვ) იბრაჰიმ ახმედოვისა ელიზბაროღლი ქუბიძესი მურად მამედ-ოღლიზე 95 მან. თაობაზედ (ოზურგეთის მომრ. მოსამართლ )

ზ) სიმონ ბალდასაროვისა დავით მანანოვზე 100 მან. ზარალის თაობაზე (ტფილისის მე-4 განყოფილების მომრიგ. მოსამართლ)

Ө) ევსილ მჭედლიშვილისა გიგია ფათერაკაშვილზე 100 მან. თაობაზე ყურძნის მოსავლისა (სიღნაღის მომრიგ. მოსამართლის გარდწყვ.)

თ) დავით კიზირიასი ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ 50 მან. თაობაზედ, რომელიც დირდა გზაზე გაფუჭებული წუმწუმა (ქუთაისის მომრ. მოსამართლ.)

ი) გოგია მარგალიტაშვილისა ისიდორე ჩუბინაძეზე 75 მან. თაობაზე (თელავის მომრ. მოსამართლ.)

კ) მოიხოზა და რევაზ ცხადაძეებისა კოსტანტინე რევაზაშვილებზე 100 მან. თაობაზე (შორაპნის მომრ. მოსამართლ.)

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ეოველ-კვირა ფოთში მოდიან გეოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

## ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც-კი მოეპოება ხელ-ნაწერი საბა ორბელიანის ნაწ. „სიბრძნე-სიცრუე“, გამოუგზავნოს ამხანაგობის ხარჯით გამგეობას, შესადარებლად ერთმანეთთან, რათა გამოცემა ზემოხსენებულის ნაწერებისა ამხანაგობის მიერ განზრახული, სრული იყოს, შესწორებული, შენიშვნებით და სხ. შემდეგ დაბეჭდვისა ხელნაწერები დაუბრუნდებათ პატრონთ ამხანაგობისავე ხარჯით.

ადრესი: Тифлисъ, Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (5—1)

---


მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

**Huste-Nicht**

Gerichtl. geschützt

# „ნუ ახველებ,,

აფთ-ბალახიანი ძალღ ექსტრაქტი და კამფეტები

. გ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჰქონს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეფუთვა ცალკე უნდა იახგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

ვ. ოყურიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18/19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(16—15)

[illegible] 1891 წ.-ს


---


## ა. როინაშვილი

ყიდულობს ყველა ნაირს მველებურს ნივთებს

აგრეთვე მოიწვევს ხელოსანს ქალებს, რომელთაც შეუძლიათ მველებურის ხელოვნებით ოქრო-მკედით და აბრაშუმის მაფეულობით [illegible]ერვა ფარჩაზედ: ბათთებისა, სუზნებისა, თასჩის ფარდებისა, და სხვა. უმორჩილესად ვსთხოვთ მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, სარაზოვის სახლებში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში.


---

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანსკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურ[illegible]თ. . . . . | 2 | „ |
| ქართუ[illegible]-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწ[illegible] . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა სულხან ორბელიანისაგან . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილ. წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . | 1 | „ |
| წი[illegible] ამძღვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპოსისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრმ[illegible] . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ევსტატისა. ყდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინანისსა ოცდა შვიდი სურათით . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаh и Диманаh или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |

---

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# ცვარი

საყმაწვილო სურათებიანი ლექსთა კრებული შ. მღვიმელისა, გამოც. ელ. ტატიშვილის მიერ. სურათები და მორთულობა ამოსჭრა გრ. ტატიშვილმა.

ფასი 30 კაპ.

---

## მიბაძვა ქრისტესი,

თომა კემპელისა

თარგმნილი ლათინურიდგან

პ. ა. მღებრიშვილის მიერ.

წიგნი I, II, III და IV ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

თბილისში: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სადმრთო წიგნთ-საკითხავში და ქართველთა წიგნის გამომცემ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

გორში: არ. კალანდაძის სტამბასა და ჩ. დონდაროვის მაღაზიაში.

ქუთაისში: ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ხონში: ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში: გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალციხეში: ძველს ქალაქში სომეხთა-კათოლიკე მღვდელ გვარამაძესთან.

მოზდოკში: კათოლიკეთა მღვდელ-პატრ ვ. მუთაფოვთან.

ცხინვალში: დურმიშხან ყურულთან.

ყვირილაში: მამა დეკანოზ ღამბაშიძესთან და ფოთში: კოსტა ყაუხჩოვთან.

ფასი მთელის წიგნისა ყდითა და ოთხის სურათით 1 მ 50 კ., უყდოდა და უსურათოდ 1 მ. (10—7)

---


საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

„ურბენი“ (LURBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნიი“-მე გვერდით.

წესდება და პირობის ფურცლები მსურველ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—9)


---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცი[illegible] თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . . | „ | 30 |
| 2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა. | „ | 30 |
| 3) ლექსის მაგავსნი ქიები ი. თ. . . . . . . . | „ | 5 |
| 4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 5) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . . | „ | 75 |
| 6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . . . . | „ | 80 |
| 7) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . | 1 | 25 |
| 8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . . | „ | 15 |
| 9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . | „ | 25 |
| 10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| 11) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . . | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . . . | „ | 40 |
| 12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . . | „ | 30 |
| 13) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . | „ | 15 |
| 14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| 15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . - . . . | „ | 50 |
| 16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| 17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . | „ | 60 |
| 18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. | „ | 15 |
| 19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. | 1 | „ |
| 20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ слова[illegible]ямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . | 3 | 50 |
| 21) „არჩილიანი“ გამოც. აჩიტაძისა-დიმელისა . . . . . | „ | 75 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . | „ | 80 |
| 23) იგივე უყდო . . . . . . . . . . . . | „ | 60 |
| 24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . | „ | 70 |
| 25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . | „ | 20 |
| 27) „ძეგლის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 10 |
| 29) „კიკ[illegible] ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . | „ | 20 |
| 30) „ბო[illegible]კილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |
| 31) [illegible]ნა—დარკ . . . . . . . . . . . | „ | 5 |
| 32) [illegible]ილინის გარემოცვა . . . . . . . . | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხო[illegible] შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: *Тифлисъ*. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ [illegible] Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Доз. Цен. Тифлисъ, 27-го Апрѣля 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ М[illegible]вани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.